



## საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

5 იანვარი 2012 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 18

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მომსახურებებზე გამოყოფილი მობილური ტელეფონისა და საავტომობილო საწვავის ხარჯების განაწილების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების შესაბამისად:

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების №1 დანართის 9.3.1.7. და 9.4.1.5. პუნქტების თანახმად, თანამდებობრივი და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მომსახურებებზე მობილური ტელეფონის (მონო ბარათები) და საავტომობილო საწვავის ხარჯები განაწილდეს №1 და №2 დანართების შესაბამისად. (დანართები თან ერთვის)

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს კობა ხაბაღაშვილს.

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 18 თებერვლის №19 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება განისაზღვროს 2012 წლის 1-ლი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი

**დანართი №1**

დამტკიცებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის  
5 იანვრის №18 ბრძანებით

საკრებულოს თავმჯდომარე

ა. მამეშვილი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე  
გამოყოფილი საავტომობილო საწვავის რაოდენობა თვეში**

№	სახელი, გვარი	თანამდებობის დასახელება	თანხა(ლარებში)
1	პაატა ბურჭულაძე	საკრებულოს აპარატის უფროსი	300,0
2	მამუკა ქილიფთარი	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	190,0
3	ნანა თავდუმაძე	საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსი	40,00
4	ლაშა თავაძე	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი	95,00
5	რუსუდან ხაბეიშვილი	საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და კომპიუტერული მომსახურების განყოფილების უფროსი	40,00
		<b>სულ</b>	<b>665,00</b>

საკრებულოს თავმჯდომარე:

ა.მამეშვილი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე  
 გამოყოფილი მონო ბარათების რაოდენობა თვეში**

№	სახელი, გვარი	თანამდებობის დასახელება	მონო ბარათები(ლარებში)
1	პაატა ბურჭულაძე	აპარატის უფროსი	120
2	მამუკა ქილიფთარი	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	70
3	ნანა თავღუმაძე	საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსი	40
4	მაიკო ნარსია	მდივანი	20
5	ნათია ლომჯარია	აპარატის მთავარი სპეციალისტი ორგანიზაციური მომსახურების საკითხებში	30
6	ლაშა თავაძე	საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი	40
7	რუსუდან ხაბეიშვილი	საინფორმაციო-ანალიტიკური და კომპიუტერული მომსახურების განყოფილების უფროსი	40
8	გოგი ჩილაჩავა	მძღოლი	10
9	მიხეილ ჩიგოგიძე	აპარატის მთავარი სპეციალისტი საგარეო ურთიერთობის საკითხებში	10
		<b>სულ</b>	<b>380</b>